

# უნივერსიტეტი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი

№9 (52) 2015


## ახალი სასწავლო წელი

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წელსაც ლიდერი იყო როგორც აბიტურიენტთა პირველი არჩევანის, ასევე საერთო მოთხოვნის კუთხითაც. 39 ათასი აბიტურიენტიდან 10 ათასზე მეტმა აბიტურიენტმა სწორედ თსუ შემოხაზა, როგორც უპირველესი არჩევანი. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ში 3600-მდე პირველკურსელი ისწავლის, რომელთა 80-მა პროცენტმა - 2765-მა პირველსემესტრელმა მოიპოვა სახელმწიფო გრანტი. მთლიანად თსუ 7 ფაკულტეტზე 20 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს. ახალი სასწავლო წლის დაწყება თსუ სტუდენტებს რექტორმა და მოწვეულმა სტუმრებმა მიულოცეს.*

გაგრძელება მე-2 გვ.

## თსუ რექტორის ანგარიში



*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი საზოგადოებისთვის ანგარიშის ჩაბარების ტრადიციას განაგრძობს. სასწავლო წლის დაწყების პარალელურად თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ რექტორობის მეორე წლის მუშაობა შეაჯამა. მთავარი აქცენტები სტუდენტების არჩევანზე, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდაზე, ახალ სამეცნიერო მიღწევებზე და სხვა არაერთ საკითხზე გაკეთდა.*

„ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ რჩება ლიდერ უნივერსიტეტად საქართველოში. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად თსუ-ში 3600-მდე აბიტურიენტი ჩაირიცხა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თსუ-ს აქვს უფრო მაღალი, ვიდრე სხვა უნივერსიტეტებს“, – განაცხადა თსუ რექტორმა, ვლადიმერ პაპავამ საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია თსუ-ს საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის შესახებაც და ამ ფაქტის დასადასტურებლად შემდეგი მონაცემები მოიყვანა:

WEBOMETRICS-ის რანჟირებით თსუ შედის მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტთა 5%-ში, კავკასიაში და საქართველოში კი პირველ ადგილზეა; მსგავსი მაჩვენებლით ლიდერობს თსუ უნივერსიტეტების რანჟირების (URAP) რეიტინგებში.

გაგრძელება მე-2 გვ.

## WEBOMETRICS-ის რანჟირებით თსუ კავკასიის რეგიონის ლიდერია




***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების საუკეთესო 10%-ში შევიდა, კავკასიის რეგიონში კი პირველია.***

2015 წლის მონაცემებით, მსოფლიოს 23 887 უნივერსიტეტს შორის, თსუ 2006-ე ადგილზეა, ევროპის უნივერსიტეტების ჩამონათვალში (4000-მდე უნივერსიტეტი) 714-ე ადგილზე (საუკეთესო უნივერსიტეტების 20%-ში), კავკასიის რეგიონში და საქართველოში კი პირველ ადგილს იკავებს. www.webometrics.info-ს რანჟირებით კავკასიის რეგიონიდან სომხეთის საუკეთესო უნივერსიტეტი მხოლოდ 2628-ე ადგილს, აზერბაიჯანის საუკეთესო უნივერსიტეტი კი 6405-ე ადგილს იკავებს.

გაგრძელება მე-2 გვ.

## სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტების პირველი სასწავლო წელი თბილისში

*2014 წლის ივლისში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის, მეორე კომპაქტის ფარგლებში თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის პარტნიორები საქრთველოში თსუ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი გახდნენ. მისი მეშვეობით სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ მიიღონ ამერიკული განათლება და ამერიკული დიპლომი საქართველოში. კერძოდ, გაიარონ საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საბაკალავრო პროგრამები საინჟინრო და ტექნოლოგიურ დარგებში. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 17 სექტემბერს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს სწავლის დაწყება თსუ-ში ოფიციალურად მიულოცეს.*



*სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სწავლის დაწყების მისალოცად საქართველოს პრემიერი თსუ-ს ეწვია*

გაგრძელება მე-3 გვ.

## თსუ სამაგისტრო პროგრამას “საჯარო მმართველობა“ საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა

თსუ იურიდიული ფაკულტეტისა და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობის შედეგად, ერთობლივად განხორციელებული სამაგისტრო პროგრამისთვის „საჯარო მმართველობა“ საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვების მიზნით, საერთაშორისო სააკრედიტაციო ორგანიზაცია FIBAA-სთან ხელშეკრულება გაფორმდა. ორგანიზაციის სააკრედიტაციო საბჭოს 2015 წლის 19 ივნისის გადაწყვეტილებით, სამაგისტრო პროგრამას – „საჯარო მმართველობა“, – მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია, რეკომენდაციებისა და შენიშვნების გარეშე, 5 წლის ვადით, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა საქართველოს საუნივერსიტეტო ისტორიაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის ერთობლივი ინტერდისციპლინური სამაგისტრო პროგრამა „საჯარო მმართველობა“ 2009 წლის დეკემბრიდან ხორციელდება. სამაგისტრო პროგრამის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო მმართველობის სფეროში, თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებაზე დაყრდნობით, ევროპული სტანდარტების შესაბამისი მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება. 2 წლის განმავლობაში ლექციებს ქართველი და გერმანელი პროფესორები ატარებენ. პროგრამის პირველ წელს გათვალისწინებულია სტუდენტთა პრაქტიკა საქართველოს საჯარო სამსახურში, ხოლო მეორე წელს სტუდენტთა მივლინება ქალაქ შპაიერში (გერმანია) საზაფხულო სკოლაში, ასევე რამდე-

გაგრძელება მე-3 გვ.

## უნიკალური აღმოჩენა



2015 წლის ზაფხული ისტორიაში შესაძლოა საინტერესო სამეცნიერო თარიღად შევიდეს თსუ მეცნიერთა და სტუდენტთა უნიკალური აღმოჩენის წყალობით - თსუ არქეოლოგიური ექსპედიციების ტერიტორიაზე, გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი) აღმოჩენილი ახალი არტეფაქტი, მეცნიერთა აზრით, შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგები არ აქვს. გრაკლიან გორას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე ეწვივნენ.

გრაკლიანი გორის გათხრების შედეგად დაფიქსირდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ.წ. VII საუკუნის ტაძარი ორი საკურთხევლით. საკურთხევლის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯერჯერობით უცნობი დამწერლობის ტექსტები. ახალი აღმოჩენით დასტურდება, რომ 2700 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დამწერლობა გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა და ადრე აღმოჩენილმა მასალებმა, შესაძლოა, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს. კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მიხეილ გიორგაძის განცხადებით, „გრაკლიანი გორის კვლევის პროცესში ახალი აღმოჩენა დაფიქსირდა. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე გაკეთებული

გაგრძელება მე-3 გვ.

## „საბავშვო უნივერსიტეტი“ ახალ სასწავლო წელს სიახლეებით ხვდება

„თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი“, რომელიც ახლა უკვე „თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის“ შემადგენლობაშია, 2015-2016 სასწავლო წელს ახალი, უფრო მასშტაბური შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამით ხვდება.

გვ. 4

## სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი "შემოდგომის ლეგენდა 2015"



გვ. 4

# ახალი სასწავლო წელი

***პირველი გვერდიდან***



*წლის საუკეთესო პედაგოგები დაჯილდოვდნენ*



*ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტი ხელოვნურ ინტელექტზე მუშაობას აპირებს*

„დღეს ვხსნით ახალ 2015-2016 სასწავლო წელს. 4000-მდე ახალი სტუდენტი შემოემატა ჩვენს უნივერსიტეტს. ვულოცავ პირველკურსელებს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყებას და მინდა მათ ვუსურვო წარმატება და შინაარსიანი საუნივერსიტეტო ცხოვრება“, – განაცხადა თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ. „ბოლო წლების განმავლობაში ტრადიციულად მოვდივარ ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტში, რათა უნივერსიტეტელებს აქედან მივულოცო სასწავლო წლის დაწყება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს დღე პირველკურსელებისთვის, რომლებმაც ცხოვრების სხვა ეტაპი დაიწყეს. მათი მომავალი დიდწილად იმაზეა დამოკიდებული რამდენად მაქსიმალურად წაიღებენ უნივერსიტეტიდან იმ კვალიფიკაციას, ცოდნას და განათლებას, რომელსაც მათ ჩვენი ღირსეული პედაგოგები მიაწვდიან. დარწმუნებული ვარ, თითოეული მათგანი იქნება წარმატებული“,- აღნიშნა ქალაქ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის თამარ სანიკიძის თქმით, „დღეს სწავლა იწყება უნივერსიტეტებში, სკოლებში და მინდა ვისარგებლო მომენტით და ახალი სასწავლო წელი მივულოცო ჩვენს მოსწავლეებს, სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, პედაგოგებს, ადმინისტრაციას და სტუდენტებს ვუსურვო, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ის შესაძლებლობა, რასაც მათ სახელმწიფო აძლევს. ეს არის მათი წარმატებული ცხოვრების, განვითარების დასაწყისი“.

### რექტორის სტიპენდიანტი

თსუ რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, უკვე მეორე წელია უნივერსიტეტში რექტორის სტიპენდიანტს არჩევენ. სტიპენდიატი რექტორის ხელფასიდან ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველთვიურად 250 ლარს მიიღებს. 2015 წლის შემოდგომის სემესტრში ეს ჯილდო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მე-7 სემესტრის სტუდენტს ვენერა ცერცვაძეს ერგო. „ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულია რექტორის სტიპენდიის მოპოვება. ამისთვის ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ვლადიმერ პაპავას. ეს იქნება სტიმული, რომ შემდგომ კვლავ გადავდგა წარმატებული ნაბიჯები და ვეცდები, რომ ბოლომდე ღირსეული უნივერსიტეტელი ვიყო“, – აღნიშნა რექტორის სტიპენდიატმა.

### თსუ-ს წლის საუკეთესო პედაგოგები

უკვე მეორედ თსუ ახალ სასწავლო წელს წლის საუკეთესოდ დასახელებული პედაგოგების დაჯილდოვებით იწყებს. 15 სექტემბრის ღონისძიებაზე სერტიფიკატები გადაეცათ 2014-2015 სასწავლო წლის საუკეთესო პედაგოგებს ყველა ფაკულტეტიდან: ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან მაია მესტვირიშვილს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან ქეთი ჩიტალაძეს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან თამაზ ჯოლოგუას, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან იური პაპავას და სიმონ წერეთელს, მედიცინის ფაკულტეტიდან თეიმურაზ ჯორბენაძეს და რუსუდან ქარსელაძეს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ნანი გელოვანსა და ნინო გოგიაშვილს, იურიდიული ფაკულტეტიდან მარიამ ხოფერიას, ტურიზმის განვითარების ინსტიტუტიდან რომან ხარბედიას, ენების ცენტრის მოწვეულ პედაგოგს ხათუნა გელაშვილს.

### ყველაზე მაღალრეიტინგულები

სამახსოვრო საჩუქრებით დაჯილდოვდნენ თსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული მაღალრეიტინგული პირველკურსელები. მათ შორის, ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ზოგად უნარებში ყველაზე მაღალი ქულის მქონე პირველკურსელს, თსუ-ში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხულ დავით სოსელიას კომპანია „ჯინო ფერედაისმა“ ყოველთვიური სტიპენდია დაუნიშნა 200 ლარის ოდენობით.

* * *

თსუ-ში დღეისთვის მოქმედებს 212 აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა. მათ შორის: საბაკალავრო -65, ერთსაფეხურიანი - 3, სამაგისტრო -90, სადოქტორო - 42, პროფესიული -9. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა -3. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს უცხოენოვანი და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან.

# თსუ რექტორის ანგარიში

***პირველი გვერდიდან***

თსუ ერთადერთი ქართულ უნივერსიტეტია რომლის ერთობლივ (თსუ-შპაიერის (გერმანია) ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის) სამაგისტრო პოგრამას (საჯარო მმართველობა) ხუთი წლის ვადით მიენიჭა საერთაშორისო აკრედიტაცია. ხოლო ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიამ (IABE) თსუ-ს მსოფლიოში საუკეთესო კვლევით ცენტრებს შორის მეორე ადგილი მიანიჭა. რექტორმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა თსუ არქეოლოგი სტუდენტებისა და მეცნიერების საერთაშორისო მნიშვნელობის აღმოჩენაც გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი), რომელიც, მეცნიერთა აზრით, არა მარტო საქართველოს, არამედ, მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს შეცვლის.

რექტორმა სხვა თემებზეც ისაუბრა. მისი ინფორმაციით: აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური ხარისხის მისანიჭებელი მინიმალური სტანდარტი. ეს სტანდარტი საკმაოდ მომთხოვნია, სადაც გათვალისწინებულია მეცნიერის მუშაობის შეფასება პუბლიკაციებით, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, საერთაშორისო გრანტების მოპოვებით. ამ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად პროფესორებს დრო 2017 წლის 1 იანვრამდე მიეცათ.

რექტორმა გაიხსენა ისიც, რომ გასულ წელს მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამების განსახორციელებლად თითოეულ ფაკულტეტს მიეცა დამატებით 75000 ლარი, რომ შეერჩიათ საინტერესო პროგრამები. სულ შეირჩა 7 ფაკულტეტზე 62 პროგრამა, რომელშიც ჩართულია ბაკალავრიატის საფეხურის 104 სტუდენტი, 50 მაგისტრანტი და 75 დოქტორანტი, ანუ სულ 200-ზე მეტი სტუდენტი;

რექტორმა ისაუბრა სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობაზე, მოსალოდნელ ატესტაციის პროცესზე, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავებულ საკანონმდებლო ცვლილებაზე;

ვლადიმერ პაპავამ ყურადღება გაამახვილა ახალ სასწავლო კურსზე – ანტიკური ტექსტები ციფრული ჰუმანიტარიის კონტექსტში, რომელშიც თსუ-სთან ერთად ჰარვარდის, ლიონის, სან-პაოლოს, ლაიპციგის და სხვა უნივერსიტეტებია გართიანებული.

თსუ რექტორის განცხადებით, აშშ-ის საელჩოს დახმარებით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საგანმანათლებლო სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნით, უნივერსიტეტში შეიქმნა აუდიოსტუდია, სადაც, სტუდენტების დახმარებით, მზადდება სახელმძღვანელობის აუდიო ვერსიები. შეხვედრაზე რექტორმა ხაზი გაუსვა საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით უნივერსიტეტის წარმატებებს. მისი ინფორმაციით გაიზარდა მსოფლიოში ცნობილ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა, რაც, თავის მხრივ, თსუ სტუდენტებისთვის, აკადემიური პერსონალისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის მეტ გაცვლით პროგრამას და საერთაშორიო პროექტს ნიშნავს.

თსუ რექტორმა ისაუბრა პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტზე, რომელიც თსუ-მ პირველმა დანერგა. ვლადიმერ პაპავას ინფორმაციით, პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტის შემოღების შემდეგ, უნივერსიტეტში ამოქმედდა დოქტორანტების ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა – შვიდივე ფაკულტეტიდან 5-5 საუკეთესო დოქტორანტის სწავლის საფასურს უნივერსიტეტი დაფარავს.

თსუ რექტორმა ისაუბრა სხვა სიახლეებსა და ინიციატივებზე, სამეცნიერო გრანტებსა და პუბლიკაციებზე, სან დიეგოს (აშშ) სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად საინჟინრო სკოლის წარმატებულ სტარტზე, სახელმძღვანელოების თარგმანზე, საბიბლიოთეკო ფონდის შევსებაზე, თანამშრომელთა მხარდაჭერაზე, გატარებულ სტრუქტურულ ცვლილებებზე, სახელმწიფოსთან ურთიერთობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და სხვა ღონისძიებებზე, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტში სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

# შეხვედრა სტუდენტებთან

***ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფმა სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე უნივერსიტეტის ეზოში საპროტესტო აქცია გამართა. აქციის წევრებს შეხვდა თსუ რექტორი აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა. საპროტესტო აქციის წარმომადგენლებმა თსუ რექტორს უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობასა და პრობლემებზე მიაწოდეს ინფორმაცია. ვლადიმერ პაპავა დაეთანხმა სტუდენტთა მოთხოვნას უნივერსიტეტის სახელმწიფო დაფინანსებასთან დაკავშირებით.***

მისი თქმით, თსუ-მ ოფიციალურად მიმართა შესაბამის სტრუქტურებს უნივერსიტეტებისთვის საბაზო დაფინანსების შესახებ. „ინტენსიურად ვმუშაობთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნის ბიუჯეტში აუცილებლად გაჩნდება მუხლი უნივერსიტეტების დაფინანსების შესახებ, რადგან ეს აუცილებელია საუნივერსიტეტო სისტემის განვითარებისთვის“ – აღნიშნა რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

სტუდენტთა კითხვას სასწავლო ბაზების შესახებ, რექტორმა უპასუხა, რომ ელექტრონული სისტემა გამართულად მუშაობს. სტუდენტების მიერ საგნების შერჩევისას არსებული ტექნიკური ხასიათის პრობლემები უკვე ორი წელია არ არსებობს; არსებობს მხოლოდ ობიექტური შეზღუდვები. მსგავსი ხასიათის პრობლემა ბევრ ევროპულ უნივერსიტეტსაც აქვს, როგორიცაა – პოპულარული ლექტორების ჯგუფში მოხვედრა, ძირითადი და დამატებითი საგნების შერჩევა. ბიუროკრატიული პრობლემების მოგვარებისთვის სტუდენტებმა თსუ რექტორს ერთი ფანჯრის პრინციპის დანერგვა სთხოვეს. რექტორმა ვლადიმერ პაპავამ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შედეგად უნივერსიტეტის წინაშე არსებულ ახალ გამოწვევაზე – ევროპული სტანდარტებით უნივერსიტეტის ავტორიზაციაზე ისაუბრა, რაც თავის მხრივ, გარკვეული ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

სტუდენტებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო სწავლის საფასურს, სახელმძღვანელოებს, მის თარგმნას, ერთი და იგივე შინაარსის სხვადასხვა სათაურის მქონე საგნების გაკონტროლებას,



პროფილური საგნების დამატებას და სხვა პრობლემებს. თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ გამოთქვა მზადყოფნა კიდევ შეხვდეს თსუ სტუდენტებს გაფართოებულ ფორმატში, სადაც საუბარი შეეხება ნებისმიერ პრობლემას. „თუმცა, მანამდე გაიმართება პრინციპული შეხვედრა ყველა ფაკულტეტისა და ადმინისტრაციული დეპარტამენტის წარმომადგენლებთან,“ – აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.რექტორის გადაწყვეტილებით უნივერსიტეტის სტუდენტებთან გაფართოებული ფორმატით შეხვედრა გაიმართება 29 სექტემბერს 15.00 საათზე. შეხვედრას დაესწრებიან ფაკულტეტებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

# WEBOMETRICS-ის რანქირებით თსუ კავკასიის რეგიონის ლიდერია

***პირველი გვერდიდან***

მსოფლიო უნივერსიტეტების ვებრანჟირება ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი კვლევითი ესპანური ორგანიზაცია Consejo Superior de Investigaciones Cientificas (CSIS)-ის ლაბორატორიის Cybernetrics Lab ინიციატივით ხორციელდება. ორგანიზაცია ესპანეთის მასშტაბით 126 ცენტრს და ინსტიტუტს აერთიანებს. უნივერსიტეტების რაჟირებისას ორგანიზაცია ითვალისწინებს სხვა ვებგვერდებიდან მინიშნების მაჩვენებელს (Google, Yahoo, Live Search, Exalead), უნივერსიტეტის ვებგვერდის შიგა გვერდების რაოდენობას, მასზე სრულყოფილი ტექსტების რაოდენობას, ვებგვერდზე განთავსებული სამეცნიერო სტატიების და მათი ციტირების რაოდენობას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რანჟირებისას, ტექნიკური თვალსაზრისით არ იქნა გათვალისწინებული უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების




– ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) და მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ვებგვერდებზე არსებული მაჩვენებლები. ISET-ისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მონაცემები, შეცდომით, ცალკეა დათვლილი და რანჟირებული. ამ ხარვეზის გასწორების შემდეგ თსუ-ს მაჩვენებელი გაცილებით გაუმჯობესდება. კვლევაში საქართველოს 64 უნივერსიტეტია ჩართული.

# სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტების პირველი სასწავლო წელი თბილისში

*პირველი გვერდიდან*



თსუ პირველი კორპუსის სტუდენტებით სავსე აუდიტორიაში ამერიკელ პროფესორ ვილიამ ტონგს ლექციებზე პირველკურსელებისაგან ინტერესის ნაკლებობა არ უგრძვნია. 3 სექტემბერს დაწყებული STEM აკადემიის ფარგლებში საქართველოში ჩამოსული სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების მიზანი თავისი სტუდენტებისათვის აშშ-ის განათლების სისტემის, უნივერსიტეტის რეგულაციებისა და შეფასების სისტემის გაცნობა იყო. ათდღიანი მოსამზადებელი და საორიენტაციო კურსის ფარგლებში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს სტუდენტები ქიმიის, ბიოლოგიის, ფიზიკის, მათემატიკის და ინჟინერიის სფეროში არსებულ უახლეს აღმოჩენებს გაეცნენ. საკუთარი კარიერული წინსვლის გამოცდილების გარდა ამერიკელმა მეცნიერებმა კი STEM (მეცნიერება, ტექნოლოგიები, ინჟინერია, მათემატიკა) დარგების ქვეყნის ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარებასთან უშუალო კავშირზე ისაუბრეს.

STEM აკადემიის ფარგლებში საქართველოში უკვე მეხუთედ ჩამოსული მეცნიერებათა დოქტორი ვილიამ (ბილ) ტონგი, ქიმიისა და ბიოქიმიის დეპარტამენტს წარმოადგენს სან დიეგოს უნივერსიტეტში. ტონგისა და მისი კოლეგების აღმოჩენილი ლაზერული ტექნოლოგიების მეშვეობით ძალიან მცირედი კონცენტრაციის მქონე ქიმიური ელემენტების დაფიქსირებაა შესაძლებელი. ეს ტექნოლოგიები შესაძლებელს ხდის ალცჰეიმერის და სხვა დაავადებების ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტიკას და საგრძნობლად ზრდის განკურნების შანსს.

პროფესორი ტონგი სან დიეგოს პროგრამის საქართველოში ამოქმედების საქმეში პროცესის დასაწყისიდანვე არის ჩართული.

„4 სექტემბრიდან მოყოლებული გვქონდა ვორქშოფი იმისათვის, რათა გავაცნოთ ჩვენი კვლევები სტუდენტებსა და ფაკულტეტებს აქ. ერთდროულად რამდენიმე მიზნის მიღწევას ვცდილობთ. ეს არის ზოგადად სან დიეგოს უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩვენი კონცეფციის და შესაბამისი ტერმინოლოგიის გაცნობა. ამავე დროს ვცდილობთ დავეხმაროთ მათთვის ნაკლებად ცნობილ და საჭირო საკითხებში გარკვევაში. ერთ-ერთი საკითხი, რის გარკვევასაც STEM აკადემიის ფარგლებში ვაპირებთ იმის დადგენაა თუ რა საფეხურიდან უნდა დავიწყოთ სტუდენტების სწავლება. ახლახანს ქიმიაში დონის დასადგენი ტესტი გვქონდა და შესაბამისად შეგვიძლია ვურჩიოთ თუ რომელი დონიდან გაგზავნონ სწავლა. ვიცით, მათთვის შესაბამის რა საფეხურზე უნდა განვათავსოთ ისინი. გარდა ამისა, ვცდილობთ ცოტა უფრო მოვუთხროთ იმის შესახებ თუ რა კლასების აღება იქნება მათთვის მიზანშეწონილი. ყოველ ე.წ. „მაიჯორზე“ (ძირითად საგანზე) გვაქვს ეწ რუკა, რომელსაც უნდა მისდიო, სწორი კლასების გასავლელად და სწავლის დროზე დასასრულებლად. ზოგიერთი სტუდენტი მეკითხებოდა თუ შეიძლებოდა „მეიჯორი“ ჰქონოდა ინჟინერიაში და „მაინორი“ ქიმიაში. მე დადებითი პასუხი გავეცი და ახლა უნდა დავაზუსტოთ, თუ როგორ შეიძლება მათი დახმარება. იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ სტუდენტების ისეთ საგნებზე რეკრუტირებას, როგორიცაა ტექნოლოგიები, ინჟინერია და სხვა, ეს იმისთვისაა საჭირო, რომ მომავალში გვყავდეს კვალიფაციური სამუშაო ძალა უმაღლესი ტექნოლოგიებით მომუშავე კომპანიებისთვის, მაღალტექნოლოგიური კვლევებისთვის. სან დიეგოს უნივერსიტეტის საქართველოსთვის გათვალისწინებული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულ სტუდენტებს, თავისი ამერიკელი თანატოლების მსგავსად შეუძლიათ მუშაობა დაიწყონ ისეთ კომპანიებში, როგორიც არის თუნდაც „ჯონსონი და ჯონსონი“, – განაცხადა ჩვენთან საუბრისიას პროფესორმა ტონგმა.

როგორც იგი ამბობს 27 მონაწილიდან 8-9 სტუდენტი მართლაც ძალიან კარგად გაუმკლავდა დავალებას. არც ელოდა, რომ ტესტირებას ყველა გაივლიდა, რადგან ამას სან დიეგოს უნივერსიტეტის ამერიკელი სტუდენტებისაგანაც არ ელიან. ზოგადად კი, სანდიეგოს უნივერსიტეტში ერთიან ეროვნულ გამოცდებში მაღალი შედეგების მქონე სტუდენტები არიან. მათ შორის არის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე წელს ყველაზე მაღალი ქულების მქონე დავით სოსელია. 2015 წლის მისაღებ გამოცდების ზოგად უნარებში მხოლოდ მან შეძლო უმაღლესი, 80 ქულის მოპოვება. დავითი თსუ-ში, სან დიეგოს უნივერსიტეტში კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებაზე სწავლობს. სამომავლოდ კი ხელოვნური ინტელექტის შექმნაზე აპირებს მუშაობას.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა STEM აკადემიის ფარგლებში საქართველოში ყოფნისას სტუდენტებს ლექციები ქიმიასა და ბიოლოგიაში ჩაუტარეს. სრული სემესტრის განმავლობაში დარჩებიან ლექციების წასაკითხად ქიმიის პროფესორი სან დიეგოდან, ისევე როგორც ინგლისურისა და სამეცნიერო წერის მასწავლებლები.

# თსუ სამაგისტრო პროგრამას “საჯარო მმართველობა“ საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა

*პირველი გვერდიდან*



ნიმეთვიან პრაქტიკას ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამისთვის “საჯარო მმართველობა“ საერთაშორისო აკრედიტაციის მინიჭების აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებაზე თსუ რექტორმა ვლადიმერ პაპავამ განაცხადა: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია საერთაშორისო სარბიელზე. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერამ ახალი შესაძლებლობებისა და ახალი პასუხისმგებლობების წინაშე დააყენა ქართული განათლების სისტემა. სამაგისტრო პროგრამა “საჯარო მმართველობა“ გახდა პირველი პროგრამა საქართველოში და მთლიანად კავკასიაში, რომელმაც საერთაშორისო აკრედიტაცია მოიპოვა. ამ პროგრამის კურსდამთვრებულებს გახსნილი აქვთ გზა ევროპულ შრომის ბაზარზე და რაც მთავარია, ამ პროგრამის კურსდამთავრებულები უნდა დასაქმდნენ საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში, კარგი მმართველები გვჭირდება მთავრობაში.“

ამ ფაქტის მნიშვნელობას უსვამს ხაზს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრიც: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ – ჩვენ მივიღეთ პირველი პროგრამა, რომელსაც საერთაშორისო აკრედიტაცია მიენიჭა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მოამზადა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც საერთო პროგრამების ფარგლებში ერთობლივი დიპლომების გაცემის შესაძლებლობას მოგვცემს. სწორედ ასეთი პროგრამები უზრუნველყოფს იმ ხარისხს, რომელზეც ასე ხშირად ვსაუბრობთ“,- აღნიშნავს თამარ სანიკიძე პროგრამაზე საუბრისას.

ფინანსთა მინისტრის ნოდარ ხადურისთვის კი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ: „პირველ ქართულ უნივერსიტეტს ხვდა პატივი პირველს მიეღო სამაგისტრო პროგრამის საერთშორისო აკრედიტაცია. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ თსუ არის არა მხოლოდ ქრონოლოგიურად პირველი ქართული უნივერსიტეტი. უნივერსიტეტში ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით შეიქმნა პროგრამა, რომელიც ამზადებს საჯარო მოხელეებს. სამინისტრო ყოველთვის დაინტერესებული იქნება კვალიფიციური კადრების მიღებით. მსგავსი სამაგისტრო პროგრამების მომრავლება ხელს შეუწყობს საქართველოს განათლების სისტემის რეფორმირებას და ევროპულ სივრცესთან დაახლოებას,“ – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

# უნიკალური აღმოჩენა

*პირველი გვერდიდან*

წარწერა. ეს უნიკალური აღმოჩენაა, რადგან საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700-წლიან ისტორიას ცხადყოფს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. აქ ტურისტული ინფრასტრუქტურა – ნახევრად ღია მუზეუმი ეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს ძალიან საინტერესო არქეოლოგიური გათხრები დაათვალიეროს.“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ახალაღმოჩენილ არტეფაქტებს არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ არქეოლოგიის ინსტიტუტის



დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი. მისი თქმით, „წარწერა, რომელიც თსუ ექსპედიციამ აღმოაჩინა გრაკლიან გორაზე, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, მას ანალოგი არ მოეპოვება. რაც ყველაზე მთავარია, ის განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეს, ანუ საქართველოში დამწერლობის ისტორია უკვე ითვლის 2700 წელს. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების ელიტაში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე. ეს დამწერლობა აღმოჩნდა ტაძარში, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემონახული, ამ ტაძარში გამართულია 2 საკურთხეველი და ორივე საკურთხეველზე არის წარწერა აღმოჩენილი. ერთ მათგანზე, რომელიც დასავლეთითაა, არის რამოდენიმე ასო გამოყვანილი თიხით და მეორე საკურთხევლის პოსტამენტი მთლიანად არის დაფარული წარწერით.“ თსუ პროფესორის განცხადებით, „წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცდება საქართველოს მეცნიერების შესწავლის ფარგლებს და საერთაშორისო კვლევის საგანი გახდება. ახალი აღმოჩენა მთლიანად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს“, ამბობს იგი. „ჩვენი ქვეყნის ისტორია ასეთი აღმოჩენებით არ არის განებივრებული. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერები მეცნიერულ დასკვნას უახლოეს პერიოდში დადებენ – თუ რას გულისხმობს ეს წარწერა. ჩვენ ვაგრძელებთ გრაკლიანის არქეოლოგიური გორის ღია მუზეუმად ქცევის სამუშაოებს, მიმდინარეობს გადახურვა და ტერიტორიის კონსერვაცია. ეს ძეგლი იქნება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტურისტულად დატვირთული ობიექტი,“ – აღნიშნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ. გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300 000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა. სხვადასხვა პერიოდის 10 ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები – პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და ფარმაცევტული ხელსაწყო – ე.წ. სპატულა, რომელიც წამლების, ხსნარების შესარევად გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია. არქეოლოგებმა საინტერესო არქიტექტურული სურათი მიიღეს: იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ერთმანეთზე მიჯრით მიდგმული შენობების ერთი კვარტალი. უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ძვ. წ. IV ათასწლეულის საბეჭდავები, რომლის ანალოგი სამხრეთ მესოპოტამიაში, ურუქშია აღმოჩენილი; ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ოქროს დისკო, რომლის ერთადერთი ანალოგი არსებობს ქ. სუზაში (ირანი). მნიშვნელოვანი და საინტერესოა აღმოჩენილი რამდენიმე საკულტო ოთახი. მათ შორის საკულტო წისქვილი – 3 კონსტრუქციის ხელსაფქვავი, რომელშიც წმინდა ფქვილი იფქვებოდა. წმინდა ფქვილით ღმერთებისთვის შესაწირ პურს აცხობდნენ. მსოფლიოში არ მოიპოვება გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის ბაქნის ანალოგი, რომელიც დიდი დედის კულტთან არის დაკავშირებული. დიდი დედა, იგივე ღმერთების დედა საკურთხეველთანაა გამოსახული. გრაკლიან გორაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა. წლის დასაწყისში გრაკლიან გორას ეროვნული კატეგორიის ძეგლის სტატუსი მიენიჭა.



# თბილისში, ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით, საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

ცერებრული ინსულტის პრობლემა უაღრესად აქტუალურია. იგი, როგორც მოზრდილთა სიკვდილობის მიზეზი, მეორე ადგილზეა მიოკარდიუმის ინფარქტის შემდეგ და უდავო ლიდერია, როგორც ფუნქციური უნარშეზღუდულობის და მყარი ინვალიდობის გამომწვევი დაავადება. განსაკუთრებით მაღალია ინსულტის სოციალურ-ეკონომიკური ტვირთი საზოგადოებაზე – განვითარებულ ქვეყნებში ინსულტით გამოწვეული წლიური ეკონომიკური ზარალი რამოდენიმე ათეულ მილიარდ დოლარს აღწევს. არანაკლებ აქტუალურია ინსულტის პრობლემა საქართველოში და სამხრეთ კავკასიის რეგიონში, სადაც ეპიდემიოლგიური კვლევების შედეგების მიხედვით, გამოვლინდა დაავადებით გამოწვეული მორბიდობის და ლეტალობის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით, თბილისში უკვე მეექვსედ (ყოველ 3 წელიწადში ერთხელ) ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა დაავადების პრევენციის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის აქტუალურ საკითხებს. კონფერენცია გაიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის, საქართველოს ინსულტის ასოციაციის და პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტის ეგიდის ქვეშ. მასში მონაწილეობდენ 20-ზე მეტი ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტებისა და სამედიცინო ცენტრების წამყვნი მეცნიერ-მკვლევარები და ცნობილი ექიმ-ნევროლოგები, რომლებიც ინსულტის დარგში მოღვაწეობან. შეხვედრის მონაწილეთა შორის აშშ-ის, გერმანიის ფედერაციული რეპუბლიკის, ისრაელის, უნგრეთის, იტალიის, კანადის, პორტუგალიის, შვედეთის, თურქეთის, ესპანეთის, დიდი ბრიტანეთის, პოლონეთის, ხორვატიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უკრაინის, უზბეკეთის, თურქმენეთის წარმომადგენლები გახლდნენ. მნიშვნელოვანია, რომ ჩატარებული კონფერენცია დაფინანსებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. ინსულტის მსოფლიო ორგანიზაციის მე-6 კონფერენცია "თბილისი 2015: ინსულტის პრევენცია, დიაგნოზირება და მკურნალობა" გაიმართა სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში " ა.წ. 24-26 სექტემბერს.

# საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია თეორიულ ფიზიკაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მესამე საერთაშორისო სკოლა-კონფერენცია თეორიულ ფიზიკაში გაიხსნა. ღონისძიება „ფოლკსვაგენის ფონდის" მიერ დაფინანსებული რეგიონული საგანმანათლებლო ქსელის ფარგლებში ტარდება, რომელიც აერთიანებს ბონის, თბილისის, ერევნის და ზიგენის უნივერსიტეტებს. „უნივერსიტეტში ამგვარი ღონისძიებების ჩატარების საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია გვაქვს და მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით კი სტუდენტებს, ჰქონდეთ საშუალება პირველი ხელიდან მიიღონ სამეცნიერო ინფორმაცია და შეუერთდნენ საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობასა და თანამეგობრობას",- განაცხადა თსუ რექტორის მოადგილემ მერაბ ელიაშვილმა. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მარინე ჩიტაშვილის თქმით, „ეს კონფერენცია არის ფაქტობრივად გაგრძელება იმ ტრადიციისა, რომელიც საქართველოში არსებობს თითქმის 30 წელზე მეტია. მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ეს სკოლა ორიენტირებულია ახალგაზრდა მეცნიერებზე, მათ წაუკითხავენ ლექციებს და ექნებათ წვდომა ყველაზე უფრო მაღალი ინდექსის მქონე მეცნიერებთან.

# ახალი პროექტი ახალგაზრდულ პრობლემებზე

ორშაბათს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სატელევიზიო პროექტ „სუპერ-ეგო"-ს პრეზენტაცია გაიმართება. „სუპერ-ეგო" თსუ-ის გადაცემა „უნივერსიტეტის" შემადგენელი პროექტია, რომელიც ყოველ მეორე შაბათს გავა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერში. „სუპერ-ეგოს" მთავარი აქტორები თსუ-ის სტუდენტები იქნებიან. პროექტს წარუძღვებიან: ჟურნალისტი თამარ ჩიქოვანი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე, სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი და მუსიკოსი ზაზა ხუციშვილი.

პროექტ „სუპერ-ეგოს" ამოცანაა – უნივერსიტეტის სივრცეში აღდგეს დისკუსიური საუბრების ტრადიცია ახალგაზრდულ პრობლემატიკაზე ახალ თაობაში ჯანსაღი ფასეულობების დამკვიდრების მიზნით. პროექტს თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქციასთან არსებული შემოქმედებითი ჯგუფი განახორციელებს. სატელევიზიო პროდუქტი თსუ-ის „მულტიმედიაცენტრის" ბაზაზე მომზადდება.

ღონისძიებაზე ასევე შედგება მუსიკოს ზაზა ხუციშვილის მიერ პროექტ „სუპერ-ეგო"-სთვის სპეციალურად დაწერილი სიმღერისა და კლიპის პრეზენტაცია.

პრეზენტაციას დაესწრებიან თსუ-ის რექტორი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, უნივერსიტეტის პროფესორები, სტუდენტები და მოწვეული სტუმრები.

# „საბავშვო უნივერსიტეტი" ახალ სასწავლო წელს სიახლეებით ხვდება

„თსუ-საბავშვო უნივერსიტეტი", რომელიც ახლა უკვე „თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის" შემადგენლობაშია, 2015-2016 სასწავლო წელს ახალი, უფრო მასშტაბური შემეცნებით-საგანმანათლებლო პროგრამით ხვდება.

„საბავშვო უნივერსიტეტის" ერთ-ერთ პოპულარულ პროგრამას მოსწავლეებისათვის ჩვენი უნივერსიტეტის გაცნობა წარმოადგენს. მასში შედის ექსკურსიები I კორპუსში, თსუ-ის მუზეუმებში, ბიბლიოთეკაში, სასწავლო თუ კვლევით ლაბორატორიებში. მოსწავლეებს საშუალება აქვთ ასევე დაესწრონ ლექციებს, მონაწილეობა მიიღონ ლაბორატორულ მუშაობაში, კონფერენციებში, ვიქტორინებში, ექსკურსიებსა და ა.შ., რომლებიც ფაკულტეტის სპეციფიკის გათვალისწინებით, სხვადასხვა მეთოდოლოგიითა და ფორმით ხორციელდება.

მოსწავლეებისა და უნივერსიტეტის დაახლოებას ემსახურება „საბავშვო უნივერსიტეტის" პროექტი „თსუ-დესპანი", რომელიც უკვე ოთხი წელია, რაც მოხალისე სტუდენტების მონაწილეობით მიმდინარეობს. იგი თსუ სტუდენტების მიერ საკუთარ სკოლებში უნივერსიტეტის პრეზენტაციას, სტუდენტური ცხოვრების გაცნობას, საუნივერსიტეტო პროგრამების შესახებ მოსწავლეების ინფორმირებას გულისხმობს. აღსანიშნავია საბავშვო უნივერსიტეტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე არსებულ „თსუ ეკო კლუბის" თანამშრომლობა, რომელიც სხვადასხვა კონკურსების, ვიქტორინების, ექსკურსიების მოწყობას გულისხმობს.

„საბავშვო უნივერსიტეტის" საგანმანათლებლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფორმას სკოლის მოსწავლეებისათვის შემეცნებითი სალექციო კურსები წარმოადგენს. ფაკულტეტებზე „ნორჩთა სკოლების" სახით მიმდინარეობს: „ნორჩ ასტრონომთა სკოლა" (მეცადინეობები პლანეტარიუმში ტარდება), „ნორჩ ეკონომისტთა სკოლა", „ნორჩ ექსპერიმენტატორ ფიზიკოსთა სკოლა" და ა.შ. დიდი პოპულარობით სარგებლობს ინტერდისციპლინარული ლექციების კურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და საზოგადოებრივ მეცნიერებებში. ეს უკანასკნელი მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეთა წინაშე უფრო დახვეწილი და მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგება. ყველა ეს პროგრამა მოსწავლეებისათვის უფასოა.

უახლოეს პერიოდში იგეგმება ასევე ფასიანი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვაც. პირველ ეტაპზე ეს იქნება გრძელვადიანი ტრენინგ კურსები მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში, მეცნიერებით დაინტერესებული მე-7 – 11 კლასების მოსწავლეებისთვის. სპეციალურად შედგენილი პროგრამები მოიცავს როგორც სასკოლო პროგრამების საკითხებს, ასევე თემებს, რომლებსაც სასკოლო პროგრამა არ ითვალისწინებს. კურსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები გაუძღვებიან. მეცადინეობები კვირაში ერთხელ, შაბათს ან კვირას ჩატარდება. შემდგომ ეტაპზე ამ პროგრამას უცხო ენები და სხვა საბუნებისმეტყველო საგნებიც დაემატება.

ახალი სასწავლო წლისთვის საბავშვო უნივერსიტეტმა მშობლებთან თანამშრომლობის გააქტიურების ახალი სტრატეგია დაისახა. დაგეგმილია სისტემატური შეხვედრები მშობლებთან როგორც თბილისის, ასევე რეგიონის სკოლებში, კონკრეტული, აქტუალური პრობლემების განხილვა. „საბავშვო უნივერსიტეტი" მშობლებს „თსუ მშობელთა კლუბში" გაწევრიანებასაც სთავაზობს. კლუბის წევრებისათვის მოეწყობა ლექციები აღზრდისა და განათლების სხვადასხვა აქტუალურ თემებზე, საუბრები მეცნიერებთან, მწერლებთან, საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეებთან. შეხვედრების დროს მშობლებს შეეძლებათ შეკითხვების დასმა, პრობლემების, სირთულეების განხილვა, გამოცდილების გაზიარება. კლუბში გაწევრიანების მსურველები „საბავშვო უნივერსიტეტს" „თსუ მშობელთა კლუბის" ელექტრონულ მისამართზე უნდა დაუკავშირდნენ: mshobelta.klubi@tsu.ge.

# თსუ არქეოლოგების აღმოჩენა ჭუბერის ხეობაში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტ-არქეოლოგებმა სვანეთში, ჭუბერის ხეობაში აღმოაჩინეს რკინის ხანის მეტალურგიული ქურები, რკინის ქვის კარიერები. ეს აღმოჩენა კიდევ ერთხელ ადასტურებს ურარტულ ლურსმულ წარწერებსა და ძველ ბერძნულ წყაროებში მოცემულ ინფორმაციას დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე რკინის წარმოების შესახებ.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სვანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჭუბერის ხეობის სოფელ ლახამში, ნალშკიდიშში (ნამჭედური) 50-60 ჰექტარზე განფენილი მეტალურგიული სახელოსნოები გათხარა. ექსპედიციის ხელმძღვანელის, თსუ ასოცირებული პროფესორის ზვიად კვიციანის განცხადებით, „სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკის დროს აღმოჩენილი რკინის ქურები, ასევე გადამუშავების შედეგად ნარჩენი მასალები - რკინის ნალღვენთები, თავად გადამუშვებული რკინა, ქვით ნაშენი და შებათქაშებული ქურები - ძველი წელთაღრიცხვის მე-8-მე-7 საუკუნეებით თარიღდება. დაფიქსირებული მასალის რაოდენობა და ტერიტორიის მასშტაბი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სვანეთში, რაჭისა და მდინარე ჭორიხის აუზში მოპოვებული რკინით იმ პერიოდში არა მხოლოდ კოლხეთი, არამედ წინა აზიის სახელმწიფოებიც მარაგდებოდა. იმ პერიოდში რკინის მოპოვება და დამუშვება მაღალი ცივილიზაციის არსებობის მაჩვენებელი იყო."

ექსპედიციის ხელმძღვანელის ზვიად კვიციანის თქმით, თსუ სტუდენტთა სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკის ფარგლებში დაზვერვითი სამუშაოები ჩატარდა ჭუბერის ხეობის კიდევ ერთ სოფელში - ლარილარში. გასული საუკუნის 80-იან წლებში თსუ პროფესორის შოთა ჩართლანის ხელმძღვანელობით აღმოჩენილი და შესწავლილი, ადრეანტიკური ხანის და ელინისტურ ხანის ორი კრემაციული სამაროვნის მიმდებარე ტერიტორიაზე თსუ სტუდენებმა კიდევ ერთი კრემაციული მოედანი დააფიქსირეს. ექსპედიციის ხელმძღვანელის განცხადებით, კრემაციული სამაროვანი სოფლის მოსახლის კერძო ტერიტორიაზეა და შეთანხმების შემთხვევაში სამაროვნების გათხრას და შესწავლას თსუ არქეოლოგიური ექსპედიცია შემოდგომაზე დაიწყებს.

# სტუდენტური ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა 2015"

მეშვიდე წელია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კომპანია „ჯეოსელთან" ერთად თავის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ლიტერატურულ პროექტს – „შემოდგომის ლეგენდა" ატარებს. ამ პერიოდში არაერთი საინტერესო ავტორი აღმოჩნდა, არაერთმა სტუდენტმა გაიმყარა საკუთარი ლიტერატურული შესაძლებლობების რწმენა, პირველი სერიოზული სამწერლო ნაბიჯები გადადგა.

ამჯერადაც კონკურსის ორგანიზატორები საქართველოს მასშტაბით ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს მოუწოდებენ მონაწილეობა მიიღონ ახალ კონკურსში, რომლის დევიზიც წელს არის „კიბის ეფექტი".

„თუ ხარ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, თუ გიყვარს ლიტერატურა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და კომპანია „ჯეოსელი" გთავაზობთ სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსს „შემოდგომის ლეგენდა". - ნათქვამია ორგანიზატორთა მოწოდებაში. წელს ლეგენდის ფინალურ ტურს ყვარელში, ილიას ტბის პირას მდებარე ქართული შატო – როიალ ბატონი უმასპინძლებს. გაატარეთ შემოდგომის სამი დაუვიწყარი დღე კახეთში, გააცოცხლეთ თქვენი ლიტერატურული გმირები და გააცანით ისინი მთელ საქართველოს.




ლიტერატურულმა კონკურსმა სტარტი 14 სექტემბერს აიღო და ორ ეტაპად ჩატარდება:

I ეტაპი – შიდა შესარჩევი ტური. მონაწილეობის მსურველებმა, 11 ოქტომბრის ჩათვლით, კონკურსის ელ.ფოსტაზე – shemodgomis-legenda@tsu.ge უნდა გამოაგზავნოთ:

პროზაული ნაშრომი (ან ნაწყვეტი) ნაბეჭდი სახით, არანაკლებ ერთი და არაუმეტეს სამი თაბახის გვერდისა; ჟანრი და თემა შეუზღუდავია;

შევსებული ანკეტა.

უნივერსიტეტის ჟიური შიდა შესარჩევ ტურში გამოავლენს 10 ფინალისტს, რომლებიც მეორე ტურში გადაინაცვლებენ და მთავარი კონკურსის – იმპროვიზაციული ტურის მონაწილეები გახდებიან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფულად პრემიას და კომპანია „ჯეოსელის" პრიზებს გამარჯვებული სამეული მიიღებს:

I ადგილი – 1000 ლარი და კონკურსის სიმბოლო;

II ადგილი – 700 ლარი;

III ადგილი – 500 ლარი.

გაზეთი მომზადდა თსუ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ. საკონტაქტო ინფორმაცია – ტელ: 2 22 23 91; ელ.ფოსტა: tsupr@tsu.ge; ვებ-გვერდი: www.tsu.edu.ge